ტფილისის მდბიონი აწვალბენ პოეტს და მოსვენებას არ აძლევენ დაეშული ლოთები და მათხოვრები.

„როცა დამათრობს დიდ ქალაქის  
„მძაფრი ხრიალი,  
„უხილავ ხმაურს ეღვენება  
„მღელვარე ფიქრი;  
„ქუჩები ჰყავის ელექტრონის  
„შუქთა საილით.  
„ავტომობილი მიგუფუნებს,  
„ტრამვაი მიჰქრის.

### მეოთხე მოქმედება.



ქანდაკება (იხ. იმ. და ც.პ. № 14 (17).

**ნიწო.** სახლში კომერსანტი გიცდის.

**ღევ.** რა ნებაღეს?

**ნიწო.** (გაიციებული). როგორ თუ რა ნებაღეს? ჰსურს გაიგოს, მუშაობას როდის განაახლებ. მეორე აეანსი მოგიტანს.

**ღევ.** არჩილს აკი დეაბარე, რომ კომერსანტის ბიუსტს შუა ქარმა დაუბერა, გაცივდა და გარდაიცვალა.

**ნიწო.** (აღლევებული, მაგრამ მტკიევი ცოლოთი) კომერსანტი ხელ შენს სახელოსნოში მოვა. დაპირდი, რომ ხელიდან მუშაობას განაახლებ და რამდენიმე დღეში ბიუსტს დაამზადებ.

**ღევ.** ბიუსტი, ისევ ბიუსტი!

**ნიწო.** დიახ, ბიუსტი! სხვა გზა არა გაქვს.

**ღევ.** ჩემი გზა აი ამ ქანდაკებისკენ მიდის. დეე ქვეყანა კომერსანტების სათარგუმო მოედნად გადაიქცეს. მე მიინც ამ ჩემს ღვიაბებს შეგხარი, ტანჯვასა, ცრემლსა და მუშუბარებაში შობილ ქმნილებას. აი ეს არის ჩემი გზა. შემომდელითის ტანისამოსი, შიმშილმა სისხლი გამიშროს და ხორცი ძვლებზე მიმიხმოს; მე მიინც ჩემის გზით ვივლი...

**ნიწო.** და ვაგვლანგავ აეანს.

**ღევ.** აეანსი! (იციინს). აეანსი. (უბიდან ფულს ამოიღებს) აი აეანსი! როგორ გნებავთ გადმოგცეთ. თქვენ წაუღებთ, თუ თითონ კეთილ ინებებს მოზრძანებნას, ან იქნება შეუამალმა იკისრის დაზეპირებული ამჟღავნ შესრულებას! როგორ გნებავთ? აი აეანსი!

**ნიწო.** შენ შეშლილი ხარ!

**ღევ.** შეიძლება.

**ნიწო.** არასოდეს ეგ არ მოხდება.

**ღევ.** (ენერგულად) ეპარა რაც მტანჯეს! თვრამეტი წელიწადია ერთად ვცხოვრობთ და შენგან არც ერთხელ თანაგრძობის სიტყვა არ გამივია. ყველაფერი, რაც ჩემთვის ძვირფასი და უსაყვარლესი იყო, შენი უხეშა, ბორბოტი ხელთ ისპობოდა და ნადგურდებოდა. მთელა ჩემი ცოდნა, ჩემი ნიჭი...

**ნიწო.** (უტბათ ნერვიულად გადაიხარხარებს) ნიჭი...

**ნიჭი...** (გაბოროტებული ისტერიულად) შენ უნიჭო ხარ, უნიჭო, უნიჭო, უნიჭო!

**ღევ.** ნიწო!

**ნიწო.** უნიჭო ხარ, უნიჭო! შენ რომ უნიჭო არა ყოფილიყავი, პრემიას მოგცემდნენ. შენ... უნიჭო ხარ... პრემია სხვას მისცეს...

**ღევ.** დაწუდი!

**ნიწო.** შენ ამის იმედი გაქვს? ამ უშნოდ შეთითხნილი თხისხა. ეგაც ისეთივე უნიჭობა იქნება, როგორც სხვა. მოხადე ეგ ტილო, ჩამოსენი!.. (ქანდაკებისკენ გემარტობდა).

**ღევ.** (წინ გადაეღობება) შეჩერდი! არ შეიძლება.

**ნიწო.** (გააფთრებული) მომიცილდი. მე მსურს შენი ახალი გენიოსური ნაწარმოები დავინახო, ახალი ქანდაკება, რომელსაც გამოფენის შემდეგ, ალბათ სანაგვეში გადააგდებენ შენი პატივისცემელნი. მომიცილდი!

**ღევ.** (ხელს დაუქერს, ქანდაკებას ძალით მოაშორებს და მულზე დასცემს) საზოგადოებრივი (დღი პაუზა).

ფარდა

ღვეანის საწოლი ოთახია, შირცხნა შირცხ. უცხადე...  
ორი კრაიტი სდვას. კრაიტი მარჯვენა შირცხს შირმა აქვს მოდგმული. პირდაპირ კარები ღვეანის კაბინეტი გადის; როდესაც კარები იღება, საწერი მაგადა, წიგნების შეკრები და კედელზე ჩამოკიდებული სურათი მოსანს. მარჯვენა შირცხს კარები ზეფენის ოთახში გადის. მარჯვენივე ბუხარის ანთია. ბუხარის წინ ორი საფარძელი სდვას.  
ფარდის ახდის დროს სქენაზე თამბარი და ქეთინოა აირანს, თამარი სავარძელში ზის. ქეთინო ბუხარის წინ გაშლილ ხალა ახვა წამოწოლილი. თავი თამ რის კალთაში ჩაუღდია და ბუხარს უტყვის. ხელში წიგნი უტყირავს. თამარი ოთახზე ხელს უყვანს და წაუხად უთქვამს.  
საღმთა. საათი ბუხარის თავზე შეიღვრე დაქარავს.

**თამ.** შეიდი საათია.  
**ქეთ.** მამა კი ჯერ არ მოსულა.  
**თამ.** შამა ყველთვის იგვიანებს. დილით გადის და საღამომდის სახლში აღარ ბრუნდება.  
**ქეთ.** აღარც ჩვენ გველაპარაკება. (პაუზა).  
**თამ.** დალონებულია. ვახდა კიდევ. ღმერთო, შენ უშველ!  
**ქეთ.** სულ სახელოსნოში ზის. როდესაც არა მუშაობს, მაშინაც სახელოსნოშია. მალე ქანდაკება მზათ იქნება.  
**თამ.** როდისღა, როდისღა, შეილო! ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. ყველანი იტანჯებიან.  
**ქეთ.** მამა კი ყველზედ მეტად.  
**თამ.** ხო, შეილო, ხო. იტანჯება და არაყერს ამბობს. (ცრემლიორიული) გულში იკლავს დარდსა, გულში! (პაუზა).  
**ქეთ.** ნეტავი ჩქარა ვახფხულდეს! სოფელში მამა მხიარულად არის ბოლმე.  
**თამ.** სოფელში აღარ წავალო.  
**ქეთ.** რატომ, ბებო?  
**თამ.** დედაშენს არ უნდა.  
**ქეთ.** (ჩაფიქრებული) მთელ ზაფხულს ქალაქში ხომ არ გავტარებთ?  
**თამ.** არ ვიცი, შევლო! დედაშენმა სიტყვა, სოფელში აღარ წავალოთ.  
**ქეთ.** მე მიინც წავალო.  
**თამ.** დედა არ გავიშვებს!  
**ქეთ.** მამას წაყვევბი.  
**თამ.** არც მამას გაუშვებს.  
**ქეთ.** მაშ, რა ექნათ?  
**თამ.** არ ვიცი, შეილო. როგორც დედაშენი მოისურვებს, ისე უნდა მოვიქცეთ.  
**ქეთ.** (აღლევებული წამოდება) მე არ მიინდა,  
**თამ.** რა არ გინდა?  
**ქეთ.** არ მიინდა ისე მოვიქცე, როგორც დედაჩემისა სურს.  
**თამ.** (შემხულები) სუ! ჩემად, ჩემად, შეილო!  
**ქეთ.** იცი, ზოგჯერ რასა ვფიქრობ, ბებო, მიინდა გავიქე, სულ გავიქე სახლიდან და ისეთ ადგილს დავიშოლო, სადაც არავინ მიცნობს. შენ გგონია შემემინდება მამა რომ არ მეკოდებოდეს, დღესვე გავიქეყოლი მამას იწყინებო. მამიკო, ჩემი მამიკო!  
**თამ.** არა, შეილო, მაგას ნუ ამბობ. ეგ ფიქრითა თავიდან მიიშორე. შენი დედა-მამის კერას ვერსად გავიქევი, არც უნდა გავიქე. ცოდება, შეილო, მაგას ნუ ამბობ.

**ქეთ.** როგორ მომწყინდა სიმარტოვე, ბებო.  
**თამ.** რა დროს შენი სიმარტოვეა, ჩემო კარგო! ჯერ ახალგაზრდა ხარ, ბავშვი. აი, ჩემსავით რომ დაბერდები, მაშინ სხვა, — მაშინ განმარტოებული კუნჭული გაგიტყბობ. იქნებო შენთვის მოკრძალებული, რომ არაივინ შეაწუხო და სუთნითაც კი არ აფრინობინო, რომ ქვეყანაზე არსებობ. შენ კი, შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, ჩემო კარგო, ბავშვი.

**ქეთ.** შენ არ იცი, ბებო, რა კარგია სიმარტოვე. შენი თავის ბატონი და პატრონი მაშინ შენ თითონა ხარ. სადღე ვინდა წახვალ, რასაც ვინდა — გააკეთებ. ყოველთვის სხვის არ შესცქერი თვალგამში, რომ გამოიკნო რა ესაზომებნა ან რა იწყებდა. აქ კი ისე მგონია გალანაში ვარ დამწყვედელი (ყურს დაუქცებს) იმ ოთახში თითქოს ვიღაცა დადის.

**ღვიანა.** (შემოდის. გამხდარია, გადაუთრებელი. თმა გასქვლილია. არაივინ უყვარს. როდესაც ლაპარაკობს, მაშინაც თითქოს უფრო თავის თავს ელაპარაკება. ჩუმად სკამზე დაჯდება. მცირე პალუსი შემდეგ) ცივა!

**თამ.** ბუხართან მოდი, შვილო!  
**ქეთ.** (სავარძელს მიაწოდებს) აი აქეთყენ, მამიკო!  
**ღვე.** (ბუხართან დაჯდება და ცეცხლს უძქერის) აცუცდა.

**თამ.** კიდევ შეუყვით, შვილო?  
**ქეთ.** აქეთყენ შიშოვინ, მამიკო, აი აქეთყენ! (პაუზა. სმის ვიოლინის ხმა, უკრავენ გრივის „პეერ გიუნტ“-იდან „აზეს ტოდ“-ს).

**ღვე.** ვინ უკრავს?  
**ქეთ.** ზურაბის ამხანაგია, საღამოსთვის ემხადები ნ. (პაუზა).

**ღვე.** მივხვდები ყურშა ძალი მოჰკლამიათ, გა...  
 და მოვყვარა. (პაუზა).

**თამ.** პური ხომ არა გზიან, შვილო?  
**ქეთ.** კერძი შეგინახეთ. მაგინადლო?  
**ღვე.** ტრამვის ვაგონმა ეს არის ეხლა კაცი გასქვლიტა.

**თამ.** (შეშინებული) როგორ გახშირდა ეს უბედური შემთხვევები.

**ღვე.** დაითრია, თვლებში შეეგდო და გასქვლიტა.  
**თამ.** ვაი იმის დედასა!

**ღვე.** კრინტი არ დაუძრავს, თავისთვის მიდიოდა ტურქებზე ღიმილი უთამაშებდა. ერთი წუთი და — გაჰქრა სიციცხლე.

**თამ.** ნეტა ვინ იყო ის უბედური!

**ღვე.** ეხლა იმის სახეში ქვიფია. სტუმრები მაგიდას გარშემო სხედან და მასპინძელს უყვანენ. იმისი ადგილი თავისუფალია. თუფშე მზაუნველი ხელით დაკეცილი ხელსახური დევს. დანაჩანველი, ღვინის ქიქი. თუფში ცოცხალია, მასპინძელი კი აღარ არის. (ღიმილით) თუფში უყვადის. ის ხომ ადამიანის არ არის, ტრამვის ვაგონმა ჩითრიოის და გასრინის.

**თამ.** პური ხომ არა გზიან, შვილო?  
**ღვე.** ცივა. ბუხარი ოთახს ვერ ათბობს.  
**თამ.** შეუყეთებ.

**ღვე.** მასპინძელი რომ დაივიანებს, იმის ადგილას სხვა დაჯდება. მასპინძელი შევარია, სტუმრები კი ქვიფობენ. ადამიანი მოკვდა, და დაწყველილი დრო ერთი წუთითაც არ შეჩერდა. დაკრძალვის დღესაც სუფრას სწორედ სამს სათაზე ვაშლიან, როგორც დაჩვეულები არიან, ერთს წაუთ არა გადააცილებენ. (ქეთინოს) აგრე ნუ მიცქერი, შვილო!

**ქეთ.** როგორ გახდი, მამიკო!

**ღვე.** (შუბლზე აკოცებს) ეგრე ნუ მიცქერი, შვილო!  
**ქეთ.** წვერშიაც თითრი გამოკრეცია.

**ღვე.** (აღგება და ოთახში სიარულს დაიწყებს) დიდა საღ არის?

**ქეთ.** არ ვიცი.

**ღვე.** შინ არ ისადილა?

**ქეთ.** არა, სადილად არ მოსულა.

**ღვე.** ზურაბი?

**ქეთ.** არც ზურაბი ყოფილა. მარტო მე და ბებო ვიყავით.

**ღვე.** (დედას ზურგიდან მოხეხვია და აკოცებს) არტო შენა და ბებო განუყრელა მეკობრება. (გარედ ვიოლინის ხმა შესწყდება).

**ქეთ.** ხაწილიც ბებომ გააკეთა.

**თამ.** მე კი არა, შვილო, ქეთინომ გააკეთა

**ქეთ.** ბებო მეუბნებოდა, ესე გააკეთეო და მეც ვაკეთებდი.

**ღვე.** (გამხიარულებული) მაგასაც ნიჭი უნდა. მე ვერ გაგაკეთებდი.

**ქეთ.** (გამხიარულებულ მამას რომ დაინახავს, თითინაც განხიარულებდა) რა თქმა უნდა, ლობიოს შეჭამანდ კვერცხი თუ ნიუკიარად არ ჩახხალე, ლობიო შეჭამანიდი აღარ გამოვია.

**ღვე.** აბა გაუთქვეფავი კვერცხი ჩასხი ადღედეგულ ლობიოში.

**ქეთ.** (მხიარულად) აკი არ ვიციო, აკი არ ვიციო.

**ღვე.** (სიცილით) იგ შენმა ბებომ მაწაფა. გახსოვს, დედა, ერთხელ მუზაბასა ხარშავი და ქიფანის კოვხით პირი გამოიფიფთუქე.

**თამ.** (იციინის) რა კარგავა გხსომებია, შვილო ისეთი ბღავლი ასტებე. ორა კვირა მურაბის აღარ სჭამდი, გეშინოდა.

**ღვე.** ან ია გახსოვს, დედა, ბიძა ჩემმა ყელადაის პურში რომ ჩამსვე?

**თამ.** მახსოვს, შვილო, როგორ არ მახსოვს!

**ღვე.** (ქეთინოს) პატარაობისას ახირებული ხსიანით მიქინდა. რამდენი პურიც არ უნდა მოეკათა, მაინც ტრიოს დაეწყებოდა, პატარაა, დიდი პური მიინდა მეოქი. ერთხელ დამიშალეს, მცორედ დამიშალეს, — მე მანც ჩემსას არ ვიშოვლი გაბრაზდა ბიძაჩემი. მაგას თუ ქჭვა არ ვასწყვე, კაცი არ ვიქნებო. ერთხელ ახლად გამომცხარა პური გასაკიებებდ ტახტზე ვყარა, აი იმ ტახტზე, ეხლა რომ სოფელში ბებოს ოთახში სდგას. მე ჩემებურად ავხირდი. უცბად ბიძაჩემი მომვარდა, ხელი წამომავლო, ტახტზე დამსვა და მიგლი თინე პური გარშემო შემომიწყო, ყელადაის პურში ჩამსვე. აბა ეხლა შესჭამე სულ უნდა შესჭამე ეს პური. გადახედე ამ შთასავით წამოჭიფულ პურსა, შეგეშინდა, მაგრამ როგორ შეგეშინდა! ვაიიმე, დედა, მიშველე — მთქორ რომ დავივრიალე, — ის იყო და ისა. მას შემდეგ აღარ ავხირებულვარ. მომაწოდებდნენ თუ არა პურსა, მაშინვე შუბლ ქვეშ ბიძა ჩემს გადახეხვდად; ბიძა ჩემიც უღვაშებში იცინოდა და მეკითხებოდა, პატარა ხომ არ არას, დიდი პური ხომ არ გინდა. კრინტს როგორ დავძრავდი, ვიჯექი ვაჭმეებული.

**თამ.** პურში მომაგონდა. ხომ არა გზიან, შვილო!

**ქეთ.** როგორ მიყვარს, როდესაც ეგრე გამხიარულდები ხოლმე, მამიკო, სახეც სრულად გეცვლება!

(შემდეგი იქნება).

# თეატრალური დრამა

1923/1924 წ. სეზონი.

თეატრული დრამის ცხოვრებაში განვლილი წლის სეზონი, თავის გახედული ნაბიჯის მსგელობით გარდაქმნისა და განხალხებისაკენ, განსაკუთრებულ ისტორიულ წყაღედ უნდა ჩაითვალოს.

თურქულ დრამას გამოფინობა თუმცა საქართველოს გასაბჭოების დღიდანვე ემწეოდა, მაგრამ გ. წ. სეზონის მეტობამ იგი თვალსაჩინოდ წამოაყენა ფეხზედ თურქულ-სა და მსახიობის ნიჭითა და ზნეობრივი უზრუნველყოფით, რასაც ხელს უწყობდა, პირველ ხანებში თავის დახარბებით აზერბეიჯანის ეკონ-დამხ. წარმომადგენლობა საქ-ში, ზოქალ. ტალობლის მეთაურობით და შემდეგში მისი სქ. რესხ. სახელმწიფო ხარჯზე მიღება, როგორც სხვა ერების თეატრებისა, აგრედვე წარსული სეზონის მიხვევას დასტურებს.

თურქული დრამის წინმსვლელობას უმთავრესად აფერხებდა ლრეისიზმი. მისთვის საქართველო იყო გამოცდილი და საქმეში ღრმად ჩახედული ხელმძღვანელი და ასეთი მას კიდევ მოგვლინა შოქ. ა. ტუვანოვის სახით, რომელმაც დიდი ცოდნა და უნარი გამოიჩინა და შედარებით უკან ჩამორჩენილ თურქ დრამას ხელოვნების ახალი გეზით გზა გაუთავა.

წლის რეპერტუარშიც დიდი გარდაქმნა მოხდა: ორიგინალურ პიესებიდან: „გაიგე“, „ჰაჯი ყარა“, „იბლის“, „ჟურჟრუმ“ და სხ. თურქულ დრ. სცენარებ იღვებოდა ისეთი ცნობილი კლასიკური პიესებიც, როგორც მაგ. „ოტლო“, „რეისზარი“, „ყაჩაღები“, „ჟორღ დანდანი“ და სხ. და ამასთან, როგორც რეგენიტიზმის ვიციტი, ყველა ეს პიესები თავის დაკვირვებით ასრულებით საზოგადოების ყურადღებას იქცევდნ. ეს კი იმის ნამდვილი მიზეზებელი იყო, რომ თურქ. დრამის მსახიობები არტისტულ ნიჭს არ იყენებდნ მოკლებულნი მას სჭირდა მხოლოდ წახალისება და გამოუმჯეურება და ხელოვნებელი ხელმძღვანელის ამოძრავებით.

მიუხედავად იმისა, რომ თურქ დრამამ თავის წრიდან რამოდენიმე ნიჭიერი წევრი მოსკოვშიაც გაგზავნა თეატრულ ცოდნისა და საზოგადო განვითარების შესახებ, მან მაინც შესძლო სეზონში დიდი გაძდიერებინა ისეთი ნიჭიერი მსახიობები, როგორიც იყვნენ: უღვი, (ოტელის ამსრულებელი), ისე-განდი (ხლესტაკოვის როლში) და სატანისა ჯევალის „იბოლიზი“-ს). მუსლიმან მსახიობ ქალის დელაფრუჟ აბასოვის პირველად სცენაზე გამოსვლა ხომ უდიდესი მოვლენა იყო არა მარტო თურქ დრამის, თუთი მუსლიმან ქალების ცხოვრებაში. ამ ქალმა პირველად შეისწავლა აზიური მონობის უღელი საკულტურო სარბილხე.

სეზონში ბენეფისები გაემართათ წვეულ-წყვილად და მსახურებულ მსახიობებს სეზონშივე თურქ. დრამამ 25 წ. უბოძოვ გადაუხადა თავის უძეგელს და დამსახურებულ მსახიობს ალი აბასოვს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის თურქ. თეატრის დაარსებაში, როგორც ტუილისში, აგრედვე თავრიზში, ერევანში, ნახიქევანში და სხ.

სეზონის ასეთმა რიხიანმა შეუთხებამ, რასაკვირველია, თურქ. დრამას არც ისე დიდი ფრთები უნდა შე-

ახსას, რომ განვილო მუშაობაში ყველაფერი ამოწყვეტილად ჩასთავალის წარსული სეზონის მიხვევა მხოლოდ სამხადისია მომავალი საქმიანობისა. თურქულმა დრამამ რომ აღორძინების ბოლო საფეხუზს მიახვიოს, მის წინ კიდევ ბევრი საქმე-ბოროტო და გადაუღებელი ამოცანები ადევალდა.

თურქ. დრამამ უპირველეს ყოვლისა ჯეროვან სიმალღეხედ უნდა აიყვანოს თავის წევრების სწავლა-განვითარება, მსახიობების კულტურულ ხალაროში შესტანისი მეტი ცოხნის მასალა, რადგან თეატრი და მსახიობი კიდევ ახლო არ არიან დაკავშირებულნი ურთიერთთან თეატრალური და საზოგადოთ ხელოვნების ცხოვრებით.

რეპერტუარიდან უნდა გაიდევნოს და ისტორიის ჩაბარდეს დროშოქმულ შინაარსის ძველი პიესები და სამაგიეროთ იგი განახლდეს ცხოვრების კარნახით შექმნილ ახალი რეკლ. პიესები.

საქართველო შექმნა აღმოსავლეთის და განსაკუთრებით ადგილობრივ თურქულ ცხოვრების შესავერი დეკორაციებისა, ტანისამოსებისა და სხ. ამ მხრივ საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ სულთანის ამ შაჰის სასახლე არ წააგავდეს პარიზის სლონის და ყარაბაღის ბეგების არ გვაგონებდნ ქართველ თავიღების ტიპებს.

ყველა ამის შემდეგ, რასაკვირველია, დიდ საზრუნავს იქცევა არის გადაქციელობა ნივთიერი მხარე თვით მსახიობებელ. უკეთეს მთავრობის მიერ თურქული დრამაც ამ მხრივ არ იქნა გათანასწორებული სხვა თეატრებთან, — ცარიელი მუცლით იგი შირს ვერ წავა.

იმიდია სამტოთა ხელისუფლები, რომელიც დღეს დიდის ყურადღებით ეყრება ყველა ერის უმცირესობის კულტურულ საქმეს, თურქულ თეატრის წინმსვლელობის ცდას არ ჩაქლავს სათავეში და ხელს შეუწყობს მის განვითარება-აღორძინებასაც.

ამ რიგად განმეძინებულ თურქულ დრამის მსახიობებს კი მიეცემათ შესაძლებლობა, რომ თავისი კულტურულად ჩამორჩენილი ხალხი უვიცოობის ქაობიდან ჩქარა გამოიყვანონ და ისტორიის წინაშე ვალი მოიხადონ.

დ. ჯაბაროვი.

## რეპოლიუსიის მსხვერპლი

5 წლის წინათ, 15 ივლისს, ინგლისელების მართვა-გამგეობისა და ბატონობის დროს ქ. ბაიოპის სატულალოში არაგველები და საისტორიო ამავეი მოხდა..

ამ დღეს ინგლისის მთავრობას სიკვდილით უნდა დაესჯა სრულიად ახალგაზრდა 22 წლის გულიანი კმა-წვილი, უშიშარი რანდი, სიცილით და ჯანით სავეი ილია აღვესის ძე მიქელიაშვილი.

დილით 8 საათზე ილიის საკანს მიადგა ინგლისელებს ათეული ჯარისკაცი და გამოუტახადა: „აღეტი და წამოდილი.“

ილიამ კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ეს ბრძანება. ადგა, ჩიიცვა, გაუღეს კარები და გამოვიდა თუ არა პირველ კარდორშივე გაფთვრებული ეგვერა ერის ინდუსტელ ჯარისკაცს, წაართვა ხელოდან თოფი და იქვე,

კარიდორში, ხუთი-ექვსი ინდუსელი საშინლად და სა-  
არაკოდ დაახჩირებულნი წააქცია. დანარჩენების წყმხა-  
რავ ყვირილზე 50 ინდუსელი მოვიარდა და რა დინახეს  
თავგანწირულნი და გაცოფებული ყმაწვილა, აღარ ინდობ-  
და არავის, დაქერა და ოთფის წართმევა შეუძლებლად  
დინახეს, დაუშინეს ყველამ თოფები და ათული ტყვი-  
ით გაუგვირეს გული... დახვრიტეს თავის საკანის კარი-  
დორში...

ვინ იყო ილია მიქელაიშვილი? რატომ გახდა ის  
რევოლუციისა და ინგლისელების მსხვერპლი?

ყველას ახსოვს, რომ დენიკინის ლენერალი ნათიევი  
ბათომში შეუღდა ქართველ მოხალისეთა ჯარისკაცების  
შეკრებას.

ილიას ბავშვიდანვე ჰქონდა გულში ჩანერგილი:  
მეფისა და მისი წესწყობილების სიძულვილი, მამის ციმ-  
ბირში გადასახლების გამო და ამის სამწუხარო შედეგე-  
ბით—ილიამ საყვარელი დედა, და-ძმანი, ამ რევოლუცი-  
ის გამო, ზოგი ციმბირში და ზოგი აქ—თავის სამშო-

მეორე წელში სრულიად უდანაშაულო საქმეებში  
მიხვევით, ილიაც დაიპირეს და მიუხედავად იმისა,  
რომ მთელმა რიგმა საპატიო მოწვევებისამ ილია გამარ-  
თლეს, ინგლისის სარდლობის წარმომადგენელმა, ბათომის  
გუბერნატორმა, ეუკოლისმა, თუმცა მას ტფილისში მყოფ  
ინგლისის ჯარის უფროსმა კორმაც მისწერა არ დაეტე-  
რიათ მიქელაიშვილი, მაგრამ ჯიუტად და შეუბრალეველ  
ინგლისელი ვერაფერმა ვერ მოარჯულა და ილიას სატრ-  
ცხლის გამოხსალმების დროს უდანაშაულო ჯარისკაცები  
უმსხვერპლა!..

ქ. თვართქილაძე.

10 ივლისი 24 წ.

### პატარა ნაწყვეტი

ჩვენში სიმართლე ტყუილად დროგობს,  
ის ცხოვრებაში არავრად ვარგობს:  
ვერაფერ ხმარობს, ზედმეტად ბარგობს,  
მხოლოდ მის სახელს სუყველა ხარბობს!..

გ. შინატხელი.

## უცხოეთის ხელოვნება

**მეიერხოლდის ახალი დადგმა** („დ. ე.“ პოდგაეც-  
კისა). ამ პიესის დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდა  
მეიერხოლდი. დადგმის მთავარი დანიშნულება იყო — აგი-  
ტაცია. მას სთვლიან ყველაზე უფრო რთულ წარმოდგე-  
ნად, რომელიც კი მოუტია მეიერხოლდს. სირთულე გა-  
მოძლიანობს იმ სახლისა და მოულოდნელობისგან,  
რომლებიც ახსიათებენ ამ წარმოდგენას. უწინარეს, რე-  
ჟისორმა მიმართა ამ პიესისათვის **მოძრავ კედლებს**  
(les murs mobiles), რომლებს საშუალებით წამდაუწყობ  
იცვლება მოქმედების ადგილი. ამ შემთხვევაში მოძრავ  
კედლებს ახალი მომენტებიც შემოაქვთ სცენის ხელოვნე-  
ბაში: ის, რაც ქინოს კეთილშობილებას შეადგენდა მხოლოდ  
ახლა სცენისათვის შექმნილი ხელმისაწვდომი — დედნის პრო-  
ცესი საუფრადღებოა აგრეთვე, რომ მეიერხოლდმა შე-  
მოიღო მრავალი როლი ერთი და იგივე მასიზობისათვის,  
— „დ. ე.“-ში მან როლია, აღმსრულებელი 44 მასიზობი.  
წარმოდგენის მთავარი მომენტებია აგიტაცია: სამ ეკრა-  
ნაზე იწერება საავტოციო მონტაჟები და მოქმედების  
განმარტებანი. ბერის აზრით მეიერხოლდმა ამ დადგმით  
თავი ისახელა არა მხოლოდ როგორც რეჟისორმა, კიდევ  
უფრო როგორც აგიტატორმა. საერთოდ „დ. ე.“ დიდი  
ბილწევაა მეიერხოლდისა, როგორც ტენიკის, ისე მისი  
დიდილოგიის მხრივ

**ფლორენციის წიგნის გამოცემა.** იტალიის მთავ-  
რობამ მოიწვია რუსეთის სახელგამოს ლენინგრადის გან-  
ყოფილება ფლორენციის წიგნის მსოფლიო გამოცემაზე  
მომავალ 1925 წელს. გასული წლის გრაფიული ხელოვნე-  
ბისა და წიგნის გამოცემა ფლორენციაში დიდი სახე-  
ლი მოიხვეჭა და ყველა ქვეყნების ყურადღება მიიპყრო.



ბლოში უდროოდ მიბარა მიწის... ყველა ამა და სხვა  
მრავალმა გარემოებამ ილიას გვირდოი სული გაელითო  
რევოლუციის მონაპოვართა დაცვის სურვილით.

ამიტომ, რა თქმა უნდა, დენიკინის სარდლობის მი-  
სახმარებლად, საქართველოში ჯარისკაცების შეკრებას,  
გულცივად ვერ შეხედებოდა და აშფოთდებოდა ..

მან გადასწყვიტა შური ეძია მარტო ლენერალ ნა-  
თიევზე, და ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად,  
ის გავიდა ნათიევის საყვარელ სასივრთო ზღვის პირათ,  
დიდ ბულვარში.

დღით, საათის 12 ზე, ლენერალი ერთ ქალბატონთან  
თავისი ადიუტანტის თანხლებით გამოვიდა სასივრთოდ.

ილიამ, მოუახლოდნენ თუ არა მოსივრთნენი, თავი-  
სი უტყუარო თოფის ექვსი ტყვია ესროლა და გაუღდა  
გზას.

გასროლილი ტყვიებიდან სამი ლენერალს და სამი  
ადიუტანტს აღმოაჩნდა ტანში გაელილი, რომლებიც წა-  
ქცევამდ მოკლდნენ, ხოლო ქალი კი უფნებელი გადარჩა-  
ბულვარი, რომელიც სავეს იყო ხალხით, ამ საში-  
ნელმა დაუჯერებლმა და მოულოდნელმა ამბავმა ძლიერ  
გააოცა, მკვდრების გარშემო შეჰყარა და დააფაცურა.

ადგილობრივ ადმინისტრაციაში საიდანაც ეჭვი  
დაიბადა ილია მიქელაიშვილზე, დაუწყეს ძებნა, მაგრამ  
საოკუპაციო ზონაში ის ვერ აღმოაჩინეს.

ილია დროებით გადაარჩა.





ინოს ჩიხლაძე.

ახალგაზრდა მწერალი, სახალხო თეატრის მსახიობქალი, ქუთაისის დრამატული დასში მოწვეული. სცენაზე გამოვიდა 1919 წ. ქუთაისში, შემდეგ ტფ. სახ. სახლში მუშაობდა. მისი როლებია: ლუიზა—„ორი ობ“, ოლ ოლი—„დ. ჩე. ცხ.“, დოროთეა—„მეფის დალაქი“, მარია—„კოლეა“, ელპიდა—„სიყ. საზღ.“ და სხ.

### წერილი რადეჟინის მიმართ

„რევოლუციონერი დელამატორი“

ამ წიგნში სრულიად დაუთხოხავად „არის“ გადაბეჭდილი ოგანეს თუმანიანის ლექენდა: „ერთი წვეთი თავლი“. ამ „დაუთხოხობას“ ჯანი გეგარდეს, მაგრამ ეს ნაწარმოები ისე ამახიჯად არის გადაბეჭდილი, რომ არ შემიძლიან ჩემი აღმოთქება საჯაროდ არ გამოესტკევა:

**დაბეჭდილია (იხ. გვ. 160):**

„მაგრამ მწყემსის შარი მურა  
კაბასაკენ გაეშურა!“

რა აზრი გამოვარს აქედან? რა შუაშია ან „შარი“ ან „კაბა“?

**უნდა იყოს:**

მაგრამ მწყემსის შავი მურა  
კატხაკენ გაეშურა.

\*\*\*

**დაბეჭდილია (იხ. გვ. 164):**

„თავს დაგვეცა უტხად მეხი,  
აზნაურო, მუშავ, გლეხი!“

**უნდა იყოს:**

თავს დაგვეცა უტხად მეხი,  
განადგურდა მთელი მხარე  
აზნაურო, მუშავ, გლეხი!

\*\*\*

**დაბეჭდილია (იხ. გვ. 165):**

„და მისდევდა  
წელსა წელი  
უწინდელი  
ხალხში მძაფრად ჩაითესა...“

რა „უწინდელი“ა ჩაითესა ხალხში მძაფრად?

**უნდა იყოს:**

და მისდევდა  
წელსა წელი  
მაგრამ ხევდა

უწინდელი

ხალხში მძაფრად ჩაითესა.

\*\*\*

თუ ვინმე მოისურვებს ამ ლექსის დეკლამატორობას, მან უნდა უწინდელი ნაბეჭდით იხელმძღვანელოს და ჯერ ასე უნდა შეასწოროს და შემდეგ წაიკითხო... ამას მოითხოვს როგორც ავტორის, ისე მკითხველის პატივისცემა. „ერთი წვეთი თავლი“ ხალხურად გენდა და ეს ლეგენდა ისე თანისთანობით ვითარდება, რომ არამც თუ ასეთი თვალსაჩინო შეცდომები, უბრალო ბზარიც კი უაზრობას შეჭქნის.

არ ვიცი რას მივაწერო ასეთი დაუდევრობა: ლექსის გადაბეჭდვაზე პატრონს არა ჰკითხავენ, პეპედავენ უამრავ შეცდომებით და ამ შეცდომებს წიგნის ბოლოში (სადაც „კორექტურულ შეცდომების“ განყოფილებაა) არ ასწორებენ; ავტორის სახელს „ოგანეს“—**ოგანესად** ნათლავენ, მაგრემც შემდგენელს დავიწყებია მთარგმნელის გვარი, აზნა როდესაც იმავ ავტორს დაიცინეთ იხსენიებენ წიგნის წინასიტყვაობაში.

მეტი პატივისცემა პოეტებს.

ი. გ.

### გმობველთა ხმა პროვინსიიდან

რა გინდათ?

მკრთალი იერიშები.. დაქანგული ხმებით... ვინტ-მომპვალ არტილერიის ფერმკრთალი ყუმბარების გრილი. სარდალი უღაშპრით და შესუსამბო პროტესტი.

თითხმეტი წელი ბეგის მიტქელია...

თითხმეტი წელია რაც იოსებ იმედაველი და მისი ჟურნალი ემსახურება ქართულ კულტურის საქმეს. თითხმეტი წელია რაც მშვიერ-მწყურვალნი რედაქტორი თავს დასტრიალებს ლიტერატურულ განძს. თითხმეტი წელია რაც იგი ჩირაღდნით ხელში სდგას ქართულ კულტურის სამსხვერპლოზე და გზას უნათებს მშობლიურ კულტურის მოყვარულთ. თითხმეტი წელია რაც მან მალა ააფრიალა ქართული ხელოვნების დროსა.

„თეატრი და ცხოვრება“—ეს ერთადერთი სათეატრო-სახელოვანი ჟურნალია საქართველოში, რომელიც ყოველ პარტიულობის ვარეშე სდგას და იგი ამას პირნათლად ასრულებს. და დღეს-კი, როდესაც ამ ჟურნალის გარეშე იკრიბებიან ქართული კულტურის მოყვარული ახალი თაობა და ეძიებენ სულიერ საზრდოს, ამ დროს მის წინააღმდეგ „ულაშქრო სარდალი“ ამოქმედებს დაქანგულ არტილერიას მკრთალი ყუმბარებით.

რა გინდათ ბ-ნო კოწო! რა გაუწებთ?

ორატორული მანერა ამ ჟურნალის გარეშე გინდათ გამოიჩინოთ თუ რა?

„თეატრი და ცხოვრება“—მ პროვინსიაში ღირსეული ჰყოვა გამოძახილი. მან ნიღბა დაიმსახურა. მომავალი თაობა მასთან ეიქნებით.

თქვენ კი ბ-ნო „ულაშქრო სარდალი“ შორს ჩვენ-გან თქვენი ეანგვანი არტილერიით.

დ. სურამი.

პოლი კუჭუხიძე.

# სათეატრო მიმოხილვა

სახალხო თეატრში ქარა. დრამა „ჯეირანი“-ს სახით უკვე შეუდგა მომავალი სეზონისათვის მუშაობას. ჩამოყალიბებულია და გაძლიერებული დასი. შესდგა რეპერტუარი, უზირატესობა ენიჭება ორიგინალურ პიესებს, რეკლამუოკონურს და კლასიკურ-ჩაკლულს. გადაიდგა ნაბიჯები, რომ დაასრდეს სამხატვრო სალონი, რომელშიაც შევლენ ხალხური დრამატურგები, მწერლები, პოეტები, მხატვრები და კრიტიკოსები. აქ მსახიობებთან და რეჟისორებთან ერთად იქნება წაკითხული და გარჩეული დასადგმელად განზრახული პიესები და შეფასებული უკვე დადგმული, რომ ფართე აუდიტორიას მიეცეს საშუალება გამოსთქვას თავისი აზრი პიესის დადგმას და განსახიებონებაზე. თეატრის დარბაზში ჩამოიკრებიდა სათანადო ყურთბიან-წერილების ჩასაღწებათ, ამრიგათი კი გაერთიანდება მწერლობა, სახიობა, რეჟისურა და აუდიტორია პერიოდიკებიდან სახალხო თეატრები აბამენ კავშირს ცენტრთან მთლიანი რეპერტუარის შესაქმნელად და ეგრედ წოდებულ „ხალტრის“-სათაღმებავად. ცენტრი უწყვეს როგორც იდეურ ხელმძღვანელობას, აგრედვე უზგანის პიესა-როლებს და სადაც საჭიროა ხელმძღვანელ მსახიობ-რეჟისორს.

რომ სასურველ ტემპით მიმდინარეობდეს კორპორაცია „ჯეირანი“-ს მუშაობა, დამატებით არჩეული პრეზიდენტის ძველი მოღვაწე მუშება: ვ. თედორაშვილი, ვ. რაჭვიანიძე, მ. თუმშალიშვილი და მსახიობთაგან გ. თაზიშვილი.

„ჯეირანი“- მოეწოდებს ყველა ხალხურ მსახიობს და სცენისმოყვარეს, რომელთაც სურთ 1924-ს წ. სეზონში იმუშაონ სახალხო თეატრში, ესლვე განუტხადონ წერილობით პრეზიდენტს, მისამართი: პლებანოვის პრ. № 102, სახალხო თეატრის ქართულ დრამის კანტორა, დასის მსახიობნი ამ კამათ შეებულებაში არიან მრთის თვისი, ყოველდღიურ მუშაობას აწარმოებს პრეზიდენტი და საქმეთა მმართველობა.

**წითელი თეატრი** პროლეტკულტის თაოსნობით დ. კობახიძის რეჟისორობით დაფუძნდა სახალხო სახლში. მოქმედება დაიწყო მაისის 1. წარმოადგინეს ვერპარნის „რიგიათი“. პიესა გადაკეთებულია, შიგა და შიგ ზოგი ისეთი რამაა ჩამატებული, რაც ავტორს, აღბად, არც კი უფერიაა. დაიდგა ახალი ყაიფით (მოქმედების ნაწილი ხალხში და ორკესტრში). ახალგაზრდა აღმასრულებელი შორის ნიჭიერი სცენის მოყვარენი სჩანან. სცენის მოწყობას ეტყობოდა სახლი, პიესას მომზადება. წარმოდგენას მტინდებოდა ხასიათი ჰქონდა, აღმსრულებელი - ყალბი პათოსი.

წინასწარი განზრახვით მიყოწიწებული სიტყვები და ადგილები, მასთან ყალბი პათოსი რომ ჩამოშორდეს, ამავე ძალთა შესრულებით ეს პიესა სახალხო თეატრის რეპერტუარში საპატიო ადგილს დაიკავს.

### უხავანო.

ჭუთაისის თეატრის მომავალი ზამთრის 1924-25 წლის სეზონის დასის შედგენა მთავრობამ ისევ ოუზა ხარად შეიღოს მინდო. გასულმა სეზონმა ნთლად დაამტკიცა, რომ ქუთაისის უფეთრიოდ არსებობა არ შეუძლია. ყოველ წარმოდგენას ხალხი აუარებელი ესწრაოდ და ხასიათებები მსახიობთა თამაშით და დადგმით უკან ბრუნდებოდა. სამწუხაროდ უნდა აღენიშნოთ, რომ ცენტრის მიერ ნაკლები ყურადღება არის ქუთაისზე მიქცეუ-

ლი. ამის გამო ი. ზარდალიშვილმა შემადგომლობა-აუთოსრათა ქუთაისის დასი ავადმყოფობა იქნეს ცნობილი და მსახიობთ მიეცეს წლიური ჯამაგირი, აგრეთვე ითხოვა ერთდროული თანხა ახალ დეკორაციების შესაქმნელად. დასი და რეპერტუარიც თითქმის შედგენილია.

**სახავგუო მწერლობის** სალონი, რომლისთვისაც და მიმჭრლის გაიმართა 10 ივნისს, იმ. სხარდობის, რუსთალის თეატრში. სალონი დაიწყო 6. მთუჯაშვილის მოქმედება მკაფიო სიტყვით, რომელშიაც მან აღნიშნა, რომ ჩვენში სახავგუო მწერლობა მოკლებულია მშობლებისა და აღმზრდელების სათანადო ყურადღებას: სახავგუო მწერლობას არაიენ არ უსინჯავს კბილს, არც არაიენ არაიეთარ საზომს არ უყენებს. ვილაც, როლაცს კი სწერს, რაგორს - მით არ აწუხებთ. მოზხნენებელმა ხახა გასულ სასოვლოების ამ გულგრაობებს აღნიშნა, რომ სახავგუო მწერლობი პირველად მართავენ ასეთ საღამოს, პირველად გამოაქვთ საზოგადოების სამსჯავროს წინაშე თავისი შემოქმედების ნიმუშები.

— დეე, ეს საღამო იყოს სახავგუო მწერლობისა და საზოგადოების დაახლოების და თანავარძობის დასაწყისად, დაათავა სიტყვა მოზხნენებელმა.

შემდეგ დაიდგა გ. სვანიძის ოპერა „ოქროსი თავითი“- დან მთავრე მოქმედება მისივე ხელმძღვანელობით საკმოდ რთული ოპერა პაუზა ბავშვებმა გასაკვირველი ხელოვნებათ ჩაატარეს. ზოლოს გამიართა ლექსების და მოთხრობების დეკლამაცია, დრამატიზაცია.

ნორჩ ყრმების სიციხელთ საგვ, მკვირცხლი მოძრობა და ხმები სიციხელეს და სხიარულს უღვიძებდ მსმენელთ და მყურებელთ. საღამო 11 საათზე დასრულდა. ხალხს საკმოდ დაესწრა.

### დამსწერი.

**აგლბარის მე-4 სეზონის** სკოლაში ივნ. 14 ამავე სკ. მოწუფებმა წარმოადგინეს: 1) „სამსიელი შურის ძიება“, 2 მოქმ. (შალვა დეგვიამ, გ. ირევილიშვილმა, ქლ. ხატიაშვილმა, გ. ხუციშვილმა) და 2) „სცენა რედაქციასი“- 1 მოქმ. სკ. წერილობისა. რედაქტორის როლი შესარდა მწუაფეთა ღარმ. წრის ხელმძღვანელ-რეჟისორმა ლონგ. ლომთათქემ. ამ სცენამ დიდი მხიარულება გამოიწვია მყურებელთა შორის. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ფუტურისტის როლი ლევან აბაშიძემ, სუფრასეტიკის-თამარა გომეზელური, ასოთამაშების-6. ლალიაშვილი, ქართველი მსახიობის - ვანო ბედიასვილი, მეარლნეს-არჩ. შაიშვილი, უტუნობის-გ ხუციშვილი და სტუდენტნი-გ. ბეგნიანიშვილი.

წარმოდგენამ კარვად ჩაიარა. მოწუაფეთაგან მიწვეულნი იყენენ - განსაკუთრებით მოწუაფეთა მშობლები და მასწავლებლნი.

წარმოდგენას დაესწრნენ აგრედვე განათლების კომისიარობის წარმომადგენლები კვიციკელია და სხ. წარმოდგენის დაწყების წინ დაიდგა კოცხალი სურათი „ინტერნაციონალის“- სიმღერით შ. ხატიაშვილის ხელმძღვანელობით.

წარმოდგენის გათავების შემდეგ დიდ დარბაზში გაიმართა ცეკვა-თამაში, რაიც უსრულდა ღამის 2 ნახ. საათზე.

ამ სკოლის მოწუაფები ხშირად დამგენ წარმოდგენებს და ვერა იქნება, თუ დხმარება აღმოიჩნებათ ტანდროსის და დეკორაციების უფასოთ დამომობით, რათა უფრო დაუხარულბელი შექმლოთ წარმოდგენების მარადეა.



მოსკოვში მცხოვრებ ქართველ ხელოვანთა ყოფაცხოვრებაში უკანასკნელ ხანებში ორი დიდი მოვლენა მოხდა: 1. შოლ. დადიანის ოუბლი (მაისის 14) და 2. ვ. შუბლიშვილის გარდაცვალება (მაისის 19), რამაც მიუღწეველად მოწინავე საზოგადოებას გლოვის ძაბა გადააფარა. შ. დადიანის ოუბლი დიდს ზეიმით გადაიხადეს. წარმოდგენილი იქნა ოუბლიანთა „გუმინდელი“ (2 მოქ.), „გაგაგებელი“ (1 მოქ.). რუსის გავრცელებმა მსახიობქალაქი იაბლოკინამ შესარულა ზენიანის მონოლოგი („იაბლოკინა“-დან), ლადო მესხიშვილის ასულმა ნინომ—კინტის ქუპლები (კინტოს ტანსამოსში), იყო სიმღერებიც. მიუღწეველ იაბლოკინამ, ალ. სუმბათაშვილმა იუენინა (წერილით), მოსკოვის ქართველობამ (ოქროს ძვირფასი საათი ძეგელით), მსახიობ ქალმა მ. ქილარჯიშვილმა (რომლის სიტყვამ მიელი დარბაზი მოაჯადოვა, ტის გამო დიდი ტაშით დააჯილდოვეს), სტუდიულელებმა, სტუდიურბოამ და სხ. აქ მოგვყავს მ. ქილარჯიშვილის სიტყვის ზოგი ადგილები. შემდგენისათვის მოგვწვდით ალ. სუმბათაშვილის და სხ. წერილებს.

მო—ველი.

**ხანგრძლიის რკ-ჯვის კლუბში** სამტრედიის პარტკომის თაოსნობით გორის სასარგებლოდ გაიშრობა სალარო შემდეგი პროგრამით: წარმოდგენა, ალეგორა, ციკვა და სხ. წარმოდგენილი იყო „დრამატული გაგაგებობის წყვერა“ ივ. გომარტოლის. მიწაწილითაგან სამტრედიის დამ. წრე ზ. ურუშაძის რეჟისორობით. პიესა მშვენიერათ ჩაატარეს, განსაკუთრებით კარგი იყვნენ: ვაკო ხაბთარაძე (დრამატული გაგაგებობის წყვერა), ზ. ურუშაძე (მეორე პიეტრა), ან. მამაციაშვილი (ლოთი), გვიმანი (ენა ბული), ლუბა ბუჭუა (დღა), ივანე კიკაჩიშვილი (იქერილი), ვ. შუბლიანია (კბილ ტკივილი) და მ. ბერაძე (ღობა ბერძნის). ეს უკანასკნელი ნამდვილი ხელოვანია, მშვენიერი ხმა, მიწერა-მოხერხა და ბუნებრივი თამაში აკეთებს. სასურველია იგი სცენას არ ჩამოშორდებოდეს. დანარჩენები ხელს უწყობდნენ საერთო მწყობარ თამაშობას. ხაზი ბოლომდე დაესწრო. სტუდრები მეორე დღის დილის ცხრა საათამდე ლინობდნენ და შემოსავალიც კარგი ჰქონდა. სიამაის განაგებდნენ: ირ. ბოხუა, ვარ—ვან ჯანჯუღია, ნიკარგობოდენ: პ. ასათიანი, თ. ნიკოლაიშვილი და სხ. ახალგაზრდანი და მანდილოსანნიც; რომლებიც დიდი მადლობის ღირსნი არიან. ერთ ნაკლს კი უნდა მაიქციოს რეჟისორმა ყურადღება—ეს ის არის, რომ დედას შემოეყვანა ქალიშვილი სცენაზე უსიტყვიო და ეს უკანასკნელი ყოველდღე დიდს ლაპარაკზე იცხოვრო. შემდეგში მე მგონია ამ მხარეს მიაქცევის ყურადღება რეჟისორი.

ირ.—ა.

**ახალციხეში** ივლისის 12-ს, ლენინის სახელობის მუშათა თეატრის ტყ. სიმბორ დრამ. დასის მსახიობ ლეონ ერანიანის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნა სიმბორი ენაზე მუსიკალური 5 მოქ. დრამა „საიათნოვა“.

დრამის სუბტიტი ადრეულმა საქართველოს ცხოვრებიდან (ერეკლე, მეფის დროიდან).

საიათნოვა მოხეტიალე ხალხური აწულა. სასახლეებსა და კარდაკარ საირაულით მცხოვრებთ ატკბობს თავისი მომხიბლავი დაცკრა-სიმღერით.

საქართველოში უწინდელ დროში ხომ მრავალი იყო ასეთი აწული-მესტეირული საბო.

ბუნებრივია, რომ ყოველ ერს უზარეულეს ყოვლისა უყვარს და წმიდათა-წმიდათ მიაჩნია თავისი ეროვნული ავლა-დიდება. ჩვენც უღრმესი სინაზრით ვაგრძენით, როცა აიხიდა ფარდა და სცენაზე გამოჩნდნენ ქართველ ეროვნულ ტანსამოსში გამოწყობილი (ქულაჯა, ჩიხა, ჩიხბა, კობი—ლიქაქი) მორთულ-მოკაშმული ორივე სქესის მსახიობნი.

ლამაზათ იმღერეს ქართულ ენაზე „გაფორნდი“ შავო მერცხალო.

მოქ. ანკარიანს, რომელიც ასრულებდა საიათნოვას როლს, ხმა ჰალალოტობდა, არა-ქართველური იერის იყო. გაფარჯიშებით ამ ნაკლს აიცილებს.

საუცხოვრო შესარულა სონას როლი ქალ. ანტლიკ ერამიანმა. მშვენიერი, მომხიბლავი ხმა აქვს. აგრედვე უნაკლოდ შესარულა შუშანას როლი ქალ. ფრანსემ. დანარჩენი მსახიობნიც ხელს უწყობდნენ საერთო ანამსებს.

წარმოდგენას დაესწრენ ქართველებიც და ორიოდ რუსიც. ბილეთები ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო: 1 მ. 50 კ.—30 კაპიკოდ.

სასმ მოქ. ლეონ ერამიანი არ არის განსაკუთრებული ფულის სიყვარულით, რომ ჯაბე გაისქელოს, არამედ მისი აზრია, რომ ადგილობრივი სონას საზოგადოება, რომელიც გამსჭვალა მისაწერ კარჩაკეტილობის სულსიკვებებით, ნელ-ნელა მიანაზრო გაზოგებების ტაძარს—თეატრს, გადაუშალოს მას, როგორც სომხის გრის, ისე მეზობელ და უცხო გრის ყოფა-ცხოვრება. დარჩება ენკენისთვემდე. განზახული აქვს ქართულიდან ნათარგმნი პიესებიც დასცავს.

ვაკლე გურგენიძე.

**ქ. თელავში** ივლისის 15-ს დაიდგა კოტე ქელოძის „თანამედროვე ისტორიული დრამა“ 3 მოქ. „ქართველნი ჩინეთში“, რამაც საზოგადოებაში გამოიწვია უკმაყოფილება თავისი შესაბამიანით. მასში არავითარი ჰამონია არ არის დატული და უზარალო სიტყვათა თამაშია. მოქმედებასა და მოქმედების შორს დიდი საზღვარია; თუ არა ზოგიერთ მსახიობის თამაშს, მირიანს და სხალისს შეტანის, ვიდრეგებდნენ რაიმე ღირებულებაზე. ქელოძის რეგულაციონიერი გმირები ძალიან მოისლტებდნენ; რეგულაციონიერობა პიესას შეეცყო მხოლოდ მაშინ, როდესაც სცენაზე გამოვიდა რევაზოვი: ყოველი მისი მოქმედება, გამოთქმა, ნერვების დაკმობლობა იყო სწორი და დამატარებელი რეგულაციონიერობის. დიდი ყურადღება მიიქციეს თავიანთი თამაშით ჩინელებმა, განსაკუთრებით ბაბაევმა, რომელმაც თითქმის იხსნა მთელი პიესა. ავტორიც კარგი იყო ხეცურის როლში. გლეხის როლი კარგად შესარულა ვანო მისუჭვიანმა. ყველას გრომები შესაფერი და კარგი იყო, ორს სრულად არა ჰქონია—რატიოშ..

მიოვალი.

**სოფ. ხაშვის** ახალგაზრდათა წრე ცილობის ახალი რამ შეიტარეს თავის სოფლის ცხოვრებაში, ხელო შეწყყოს გლეხობის კულტურულ წინსვლას, რაიც აღტკინებდა იწვევს, გარე-კანებით გლეხობას არ ახსოვს როდისმე ადგილობრივი გაზეთი ჰქონოდაც. დღეს კი ეს შესლეს. თუ ყველგან არა, ზოგიერთ მოწინავე სოფლებში მაინც ცილობებენ დაიარსონ ადგილობრივი ქედლის გაზეთი. ასეთი გაზეთი გამოვიდა სოფ. ხაშვშიც, რომელსაც უწოდეს სახელი „იორი“, სახელი იმ მდიანარის, რომელიც ჩამოუდის მას ვეურლით. მიწმენილობა ამ ქედლის გაზეთისა დიდია დღევანდელ ჩვენს ცხოვრებაში ადგილობრივი გლეხობისათვის, რადგან იგი სათავე იქნება მათი ცხოვრებისა. ვაზეთს მიზნად აქვს უკანარგად ანთინწის და ვაშუტის ადგილობრივი ყოფა-ცხოვრება. მაშ, სალამი და გამარჯვება ხაშვის ახალგაზრდა წრეს, როგორც კულტ-აწარმელი და ვუსურვებ მერტს მზნებრიან მუშაობას სოფლისათვის. გაზეთი „იორი“-ს რედაქციის თაოსნობით ამ მოქმედ ხაშვში გაიბათება ხაშვის თეატრის 30 წლის შესრულების იუბილი.

მანო.

# ქ. ქუთაისის მუსიკალური ტახნიკუმი

(მოკლე ანგარიში)

1923—24 სამოსწავლო წლისწინადა, პირველ ნახევარში სწავლობდა 207 მოწ. ერთგნების შრიც: ქართველი—170, რუსი—26, სომეხი—3, ებრაელი—3 და სხ.—5. სულ 207 სწავლიდა. მიხედვით: რიალის კლასში—138, სიმღერის—24. ვიოლინოს—27, ვიოლონჩელის—4, სავალდებულო რიალიზზე—40, თეორია-სოლოფეის კლ. ქართულზე—60, რუსულზე—17, პარმინიაზე—8, საორკესტრო კლ.—14, სულ: 332 მოწ.

სამუსიკო ტეხნიკუმში ამ წელიწადს დაარსდა: მოწავითა მომღერალთა გუნდი, სიმღერის ანსამბლი, საორკესტრო კლასი და სალოტარო კურსები, რომელს მიზანია შექმნა სიმღერის მასწავლებელთა კადრისა, როგორც ქ. ქუთაისისთვის, აგრეთვე მთელ დასავლეთ საქართველოსათვის.

მასწავლებელთა შემაღლებლობა—14 კაცია, საქმის მწარმოებელი და კლასის ყურის მგდებელი—1, დარაჯი—2.

სპეციალობის მიხედვით მასწავლებელნი იყოფიან: სპეციალურ ფ. 3. კლ.—6, სავალდებულო ფ. 3.—2. სულ 8 პიანისტია, ვიოლინოს კლასში—2. cello—2, სიმღერის კლ.—1. საორკესტრო კლ.—1, სულ: 14 კაცია.

ამ რიცხვში თეორიის კლასში ასწავლის 2 მასწავლებელი, მომღერალთა გუნდს და სალოტარო კურსებს—1 მასწ. ერთგნების მიხედვით მასწავლებელნი იყოფიან: ქართველი—3, რუსი—7, გერმანელი—1, სომეხი—1, პოლონელი—1, ჩეხი—1. საქმის მწარმოებელი და დარაჯები სამივე ქართველი.

მე-2 ნახევარში მეკადნიერობდა 189 მოწ. ერთგნების მიხედვით: ქართველი—167, რუსი—15 სომეხი—5, ებრაელი—1, პოლონელი—1. სულ: 189 მოწ.

თავი დაანება მუსიკალურ ტეხნიკუმს 33 მოწ. მათში: 19 მოწ. თავის ნებით, 14 მოწ. ფულის შემოტანლობის გამო.

გამოცდების შედეგი: მოსამზადებელ კურსზე იმყოფებოდა—34 მოწ. I კ.—31, II კ.—26, III კ.—14, IV—10 V—12, VI—2. სამუსიკო ტეხნიკუმში ამ წელიწადს დაასრულა ორმა ფ-პ. კლასში ე. ხასლავსკიან—კლ. მასწ. ლ. ხავაშიძის და 6. მიხილიაძის კლ. მასწ. ე. ტაფთვიკია. კულტურული მუშაობა სამუსიკო ტეხნიკუმისა: 1) საკონცერტო დარბაზი მორითოს ქართველ კომპოზიტორთა ბიუსტებით. უკვე შექმნილია შოთა რუსთველის ბიუსტი, რომელიც საკონცერტო დარბაზის შესავალ ოთახში სდგას, მელიტონ ბზალანიჭიძეს ბიუსტი, საკონცერტო დარბაზში სდგას, როგორც კომპოზიტორის და ამ ტეხნიკუმის დამაარსებლის, შემდეგ რიგშია ბიუსტები კომპ. პროფ. დ. არაბიშვილისა, კომპ. პროფ. ზ. ფალიაშვილისა და კომპ. 6. სულხანიშვილისა; 2) დაარსდა მასწავლებელთა მუდმივი სიმებიანი კვარტეტი, 3) გაიმართა 22 კონცერტი. 4 კლას და 4 დახურული მოწაფეთა კონცერტი სულ: 8 მოწ. კონც., 6—პედაგოგიური, 2—სიმფონიური, 2—საერთო (общедоступ.). 2—კონცერტი 1—საბავშვო სახლში 2 მისს და 1—საშუო კონცერტი წითელარმიელებისათვის.

მუსიკალური სწავლა-მეკადნიერობა სრული ინტენსიუის მუშაობით მიმდინარეობდა, კულტურული მუშაობა თვალსაჩინოდ და ენერგულად იყო გაჩაღებული.

ილ. აბაშიძე.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

## ფოტოგრაფია

ფსინის ქვანიასი

გადავიდა ახალ ბინაზე—რუსთველის პრ. № 8, მუშათა სახალის პირდაპირ. ასრულებს ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამუშაოს: იღებს პიროვნულ, ჯგუფობრივ, შენობათა და სხვ. სურათებს, ადიდებს პორტრეტებს ფერადებით და სხვ.

შეკვეთებს ასრულებს რიგზე, ხელაჯნურად. სურათების გადაღება დღის 9 ს.—სად. 6 ს. აქვე მოიაზრება რეკლამაციის ბელადების

## სურათები

4—3 6.

მიიღება ხელის მოწერა 1924 წ.

## „თბაჭრი და სსოპრია“

წლიურად 10 მან., ნახევარი წლით—6 მან., ოთო ნომერი—20 კაბ.

წლიური ხელისმოწერა მიიღება 5 ლ და ერთს პიანისს.

მისამართი: ტფილისი, კომენტარის (ყოფ სასახლის) ქ. № 5. იოსებ იმედაშვილი.

რედაქცია ღიაა: 9 3 და 5—8 ს-მდე. რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

ორშაბათი	სასალი კლუბი	ორშაბათი
18	(სასახლის ქ.)	18
აგვისტო		აგვისტო

### პროლეტარ მშრომელთა ასოციაციის ინიციატივით

გ ა ი მ ა რ თ ე ბ ა

### პ ო მ თ ბ ა ჩ ა ნ ა ს

40 წლის სამწერლო და საპედაგოგიო მოღვაწეობის საპატივსაცემო

## ს ა ლ ა მ ო

1. „ედეაკაცის 1001 ცბიერება“—შალვა დადიანის და ელიო ანდრონიკაშვილის მონაწილეობით.
2. კომპოზიტორ სულხანიშვილის თხზულებანი: „მესტევირულიშ“ სოლოს შესასრულებს ოპერის მომღერალი ვ. ლორთქიფანიძე.
3. საკონცერტო განყოფილებანი: ოპერის პრემიერები: დ. კავთაძე, ვენაძე, შავერზაშვილი.
4. პიანურზე დაუკრავს ცნობილი მუსიკოსი—ორიენტალისტი ალექსანდრე ოღანეზაშვილი.
5. პროლეტარი პოეტები წიკითხვენ ლექსებს.
6. ბაჩანა წიკითხავს თავის ლექსებს.

ბილეთები იყიდება კასაში. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. პასუხისმგებელი გამგე ი. ზომლეთელი.